შინაარსი

ა/--განმარტებითი ბარათი;

ბ/--კალენდარული გეგმა;

გ/--გრაფიკული ნაწილი: ნახაზი მო-1, მო-2

ა/ განმარტებითი ბარათი

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია СниП 3.01.01-85 თანახმად.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისის ისტორიულ უბანში, მირზა შაფის ქუჩაზე. ტერიტორიას აქვს რთული რელიეფი.

საპროექტო ობიექტი სასტუმროა. შენობა კონსტრუქციულად წარმოადგენს კარკასულ ნაგებობას. მონოლითური კოჭებით და მონოლითური სართულშუა გადახურვით. წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს დარჩენილი სამუშაოების შესრულებას და შემდეგ ცვლილებებს: ყველა სართულზე ლიფტის შახტის გაზრდა, ლიფტის დამატება, ფართების დამატება, კიბის კონფიგურაციის შეცვლა, 17.70 და 18.30 ნიშნულებზე სართულის დამატება, +21.10 ნიშნულზე მონოლითური რკინაბეტონის ხიდის მაგივრად ლითონის ხიდის მოწყობა, +24.70 ნიშნულზე საზაფხულო ფართის მოწყობა, +24.70 ნიშნულიდან ფასადის შეცვლა, სტრუქტურული ნაკერის მოწყობა.

სამშენებლო უბანი მიეკუთვნება 8 ბალიან ზონას.

2. საპროექტო ობიექტის სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება СниП 1.04.03-85 თანახმად და დამკვეთის სურვილის თანახმად დარჩენილი სამუშაოების შესრულების ვადა მიღებულია **T=18.00თვე,** სადაც **0.5 თვე** მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა.

მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები ძირითადად შესრულებულია.

3. გრუნტის სამუშაოები აგრეთვე შესრულებულია.

4. დარჩენილი სამუშაოების შესრულება მოხდეს ხელით. მცირე მოცულობის ბეტონის სამუშაოები შესრულდეს სტაციონალური ბეტონის ტუმბოს საშუალებით. შეზღუდული პირობების და რთული რელიეფის გამო მექანიზმების “დგომა” განხორციელდეს მირზა შაფის ქუჩაზე. ამ შემთხვევაში გათვალისწინდეს ქუჩის ნაწილობრივი შემოღობვა დროებითი ფარებით.

6. **უსაფრთხოების ტექნიკა**

სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციია საშუალებით.

საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებსა და თავსაბურებს.

მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

გაშიშველი სადენების გამოყენება აკრძალულია. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე.

ყველა ფიზიკური სამუშაოს განხორციელება მოხდეს <u>საქართველოს მთავრობის 2007წ 28 მარტის №62</u> დადგენილების –**"მშენებლობის უსაფრთხოების წესები"-ს** მოთხოვნათა გათვალისწინებით; ასევე **საქართველოს მთავრობის** <u>2017 წლის 27 ოქტომბრის #477 დადგენილების - „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთოვნების შესახებ"</u> ტექნიკური რეგლამენტის დაცვის მიხედვით.

7. გარემოს დაცვის ღონისძიებები

გარემოს დაცვის ღონისძიებები ქმნის პირობებს დამახასიათებელი ეკოსისტემებისა, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად.

პროექტირების დროს და შემდგომ მშენებლობაში გამოყენებული იყოს ნაკლებად ტოქსიკური სამშენებლო მასალები. წინამდებარე პროექტში აღნიშნულია მშენებლობის მოქმედების არეალი /სამშენებლო მოედანი /აუცილებლად უნდა იქნას შემოღობილი ღობით.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში იხილავს პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე:

-ადამიანის ჯანმრთელობის და უსაფრთხოება;
-მცენარეთა საფარი, ბიოლოგიური ექოსისტემა;
-ატმოსფერული ჰაერის მოსალოდნელი დაბინძურების დონეები;
-ხმაურის მოსალოდნელი დონეები და მისი ზემოქმედება ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე.

გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა-განადგურება.

საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულებისას ფასადებს უნდა ჩამოეფაროს ფარად, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა.

მშენებლობის დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა ღიად დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა. შენობა საჭიროა აღჭურვოს კონუსური ტიპის ნაგავგამტარით.

8. წინამდებარე განმარტებითი ბარათი იხილე ნახ მო-1, მო-2 ერთად.

სტაციონალური ბეტონის ტუმბო **Putzmeister P-715-ის** ტექნიკური დახასიათება

1	დანადგარის ზომები----------	3.00x1.39x1.39მ
2	მექანიზმის წონა----------	1700.00კგ
3	წვდომა:	
	-ვერიკალურად----------	60.00მ
	-ჰორიზონტალურად----------	200.00მ

შენიშვნა: მექანიზმის მარკა შეიძლება მოხდეს ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად!

ბ/ კალენდარული გეგმა 18.0 თვე

დარჩენილ სამუშაოებზე

№	სამუშაოების დასახელება	დღე	თვეები																	
			1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18
			15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15	15 15
	მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები																			
1	მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება	15																		
	ძირითადი პერიოდის სამუშაოები																			
1	დაზიანებული კედლის გაწმენდა	90																		
2	ლითონის ბადის გამაბრება კედლის ზედაპირზე	120																		
3	კარ-ფანჯრების დაყენება	210+120																		
4	ფასადის ლესვა და მოპირკეთება აბურით	180																		
5	ატრიუმის მოწყობა	90																		
6	აივნების და ტერასების მოწესრიგება	285																		
7	ქანობიანი სახურავის მოწყობა	90																		
8	სტრუქტურული ნაკერის მოწყობა	90																		
9	ტიხრების და ჭერის მოწყობა	180																		
10	იატაკის მჯიმის გაკეთება	105																		
11	შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოების ჩატარება	210																		
12	სველი წერტილების მოპირკეთება	210																		
13	იატაკის მოწყობა ნომრებში	120																		
14	სატუმბოს და რეზერვუარის მშენებლობა	90																		
15	საძვაბის მშენებლობა	135																		
16	ლიფტის კაბინის მონტაჟი	150																		
17	შიდა ქსელების გაძვანა	255																		
	სხვადასხვა სამუშაოები																			
1	სხვადასხვა სამუშაოები	—																		
2	სამშენებლო ნაგვის გატანა	—																		

შენიშვნა მშენებლობის განსაზღვრული ვადის ათვლა განხორციელდება მშენებლობის ნებართვის აღების შემდგ.

დაამუშავა: / ბ. გოგოლაური /

XYZ construction

სასტუმროსა და სასტუმრო აპარტამენტების რეკონსტრუქციის პროექტი

ქ. თბილისი, მ. შაფის №12, №12-ა, №19,
გ. ბაასზოვის №11, №13

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი
/პროექტის კორექტირება/

პრ. ავტორი		ლ. ლომინაშვილი
არქიტექტორი		ხ. ბერულავა
დაამუშავა		ბ. გოგოლაური

ქ. თბილისი 2024წ


ЗЕМЕЛЕН ПАРЦЕЛ 7.8.9

სამონტაჟო სქემა მ1:500



შენიშვნა: ბეტონის ტუმბოს მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად

მისამართი:

ქ. თბილისი, მ. შაფის №12, №12-ა, №19, ბ. ბააზოვის №11, №13

ზომები მოცემულია მილიმეტრებში

საორიენტაციო ინფორმაცია

0.00=+428.30



სასტუმროს რეკონსტრუქციის პროექტი

სამონტაჟო სქემა

პრ. ავტორი	ლ. ლომინაშვილი
არქიტექტორი	ხ. ბერულავა
დაამუშავა	ბ. გოგოლაური
საავტორო უფლებები	XYZ construction
თარიღი	24.07.2024
ფორმატი	A-3
	მასშტაბი 1:500
რევიზია	ფურცელი მო-2